

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს გალაქსი

ს/ნ 205295955

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

სარჩევი:

|                                                            |                              |
|------------------------------------------------------------|------------------------------|
| ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება .....     | Error! Bookmark not defined. |
| საქმიანობის შედეგები.....                                  | 4                            |
| ფულადი ნაკადების მოძრაობა .....                            | 5                            |
| სააღრიცხვო პოლიტიკა.....                                   | 5                            |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ..... | 12                           |

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ფინანსური მდგომარეობა                                        |              |              |              |
|--------------------------------------------------------------|--------------|--------------|--------------|
|                                                              | 31/12/2024   | 31/12/2023   | 31/12/2022   |
| ფინანსური მდგომარეობა                                        |              |              |              |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                        | 44,607       | 106,830      | 76,652       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                   | 217,720      | 291,121      | 391,439      |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი მარაგები  | 12,449       | 62,300       | 2,671        |
| მზა პროდუქცია                                                | 87,029       | 165,620      | 515,061      |
| სხვა                                                         | 0            | 0            | 0            |
| საინვესტიციო ქონება                                          | 87,029       | 165,620      | 515,061      |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                   | 0            | 0            | 0            |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                 | 48,840       | 225,636      | 240,747      |
| ძირითადი საშუალებები                                         | 33,423       | 46,218       | 59,012       |
| სულ აქტივები                                                 | 551,628      | 564,868      | 547,319      |
|                                                              | 995,698      | 1,462,593    | 1,832,901    |
| ვალდებულებები                                                |              |              |              |
| საიჯარო ვალდებულება                                          | 0            | 0            | 0            |
| სავაჭრო ვალდებულებები                                        | 30,361,196   | 29,118,581   | 29,464,826   |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                           | 0            | 666          | 0            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                   | 0            | 0            | 0            |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                   | 4,960        | 4,968        | 0            |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                              | 0            | 0            | 0            |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                              | 0            | 0            | 0            |
| სხვა ვალდებულებები                                           | 0            | 15,827       | 8,738        |
| სულ ვალდებულებები                                            | 30,366,156   | 29,140,042   | 29,473,564   |
| საკუთარი კაპიტალი                                            |              |              |              |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივი) | 200          | 200          | 200          |
| საემისიო შემოსავალი                                          | 0            | 0            | 0            |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                 | 0            | 0            | 0            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                    | (29,370,658) | (27,677,649) | (27,640,863) |
| გადაფასების რეზერვი                                          | 0            | 0            | 0            |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                         | 0            | 0            | 0            |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                        | (29,370,458) | (27,677,449) | (27,640,663) |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                       | 995,698      | 1,462,593    | 1,832,901    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                    | 4,501,579    | 851,507      | 1,226,570    |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                               | 30,366,156   | 29,140,042   | 29,473,564   |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                    | 0            | 0            | 0            |

დირექტორი



შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

## 2. საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები                                       |              |              |
|------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| საქმიანობის შედეგები                                       | 31/12/2024   | 31/12/2023   |
| ნეტო ამონაგები                                             | 327,058      | 925,122      |
| საქონლის გაყიდვიდან                                        | 0            | 0            |
| მომსახურების გაწევიდან                                     | 0            | 0            |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                               | 0            | 0            |
| სხვა                                                       | (288,805)    | (956,133)    |
| გაყიდვების თვითღირებულება                                  | 0            | 0            |
| საწყისი მარაგები                                           | 0            | 0            |
| მარაგების შესყიდვა                                         | 0            | 0            |
| გადამუშავების დანახარჯები                                  | 0            | 0            |
| საბოლოო მარაგები                                           | 38,252       | (31,011)     |
| საერთო მოგება                                              | 0            | 17,071       |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                 | (163,266)    | (182,104)    |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                   | (22,141)     | (18,560)     |
| ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი                                  | 0            | 785          |
| საპროცენტო შემოსავალი                                      | 0            | 0            |
| საპროცენტო ხარჯი                                           | (42,546)     | (40,409)     |
| იჯარის ხარჯი                                               | (37,581)     | (67,797)     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                   | (265,533)    | (308,085)    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                     | (227,280)    | (322,025)    |
| საოპერაციო მოგება                                          |              |              |
| გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:                            |              |              |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა         | 0            | 0            |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                   | 0            | 0            |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0            | 0            |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრო      | (1,243,194)  | 40,963       |
| მიღებული დივიდენდები                                       | 0            | 0            |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                    | 0            | 0            |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობი   | (1,470,474)  | (281,062)    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  | -            | -            |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                     | (1,470,474)  | (281,062)    |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                          |              |              |
| ბირთადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივებ        | U            | U            |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოები     | U            | U            |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                     | U            | U            |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                        | (1,470,474)  | (281,062)    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში        | (27,677,449) | (27,640,663) |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზ | 0            | 0            |
| განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)              | 0            | 0            |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                      | 0            | 0            |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                  | (222,735)    | 244,276      |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს             | (29,370,658) | (27,677,449) |
| კვლევისა და განვითარების ხარჯები                           | 0            | 0            |



შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

### 3. ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              |            |            |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
|                                                                                                        | 31/12/2024 | 31/12/2023 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              |            |            |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | -62223     | 29393      |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0          | 785        |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0          | 0          |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | -62223     | 30178      |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0          | 0          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 106830     | 76652      |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 44607      | 106830     |

### 4. სააღრიცხვო პოლიტიკა

#### ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს გალაქსის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

შპს გალაქსი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლის 29 დეკემბერს საიდენტიფიკაციო ნომრით - 205295955, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) რომლის 100%-იანი წილის მმართველია ჯორჯ ჯეიქობ - ინდოეთის მოქალაქე.

კომპანიის ელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან:

ნანა გორგაძე დირექტორი პ/ნ 01010011388;

ჯორჯ ჯეიქობ, Z4921159, Z3674000, 01897002388.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., №41

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით

#### ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

#### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით:

| პერიოდი                           | დოლარი ევრო |        |
|-----------------------------------|-------------|--------|
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.8068      | 2.9306 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.6894      | 2.9753 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.702       | 2.8844 |

არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

#### იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებული უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობის შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლების, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა- ნაგებობების ცვეთა - 10 წელი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 5-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5-8 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი



### არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

### სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაწეულ იქნა.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშვება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

#### ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

#### კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების -- ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

#### ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის

- აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიის მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

#### 5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

|                                              |             |             |             |
|----------------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| <b>შენიშვნა 1</b>                            |             |             |             |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b> |             |             |             |
|                                              | <b>2024</b> | <b>2023</b> | <b>2022</b> |
| ფული საბანკო ანგარიშზე                       | 44,607      | 106,830     | 48437       |
|                                              | 44,607      | 106,830     | 48,437      |
| <b>შენიშვნა 2</b>                            |             |             |             |
| <b>სასაქონლო მატერიალური მარაგი</b>          |             |             |             |
|                                              | <b>2024</b> | <b>2023</b> | <b>2022</b> |
| საქონელი                                     | 87,029      | 165,620     | 515061      |
|                                              | 87,029      | 165,620     | 515,061     |
| <b>შენიშვნა 3</b>                            |             |             |             |
| <b>სავაჭრო მოთხოვნები</b>                    |             |             |             |
|                                              | <b>2024</b> | <b>2023</b> | <b>2022</b> |
| სავაჭრო მოთხოვნები                           | 87,029      | 165,620     | 515061      |
|                                              | 87,029      | 165,620     | 515,061     |



შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

|                                 | მიწა    | ოფისის აღჭურვილობა<br>და ინვენტარი | ავტო<br>ტრანსპორტი | სულ          |
|---------------------------------|---------|------------------------------------|--------------------|--------------|
| ისტორიული ღირებულება            |         |                                    |                    |              |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2023 | 537,917 | 598,183                            | 57,223             | 1,193,322.70 |
| შემოსვლა                        |         |                                    |                    | -            |
| გასვლა                          |         |                                    |                    |              |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2024 | 537,917 | 598,183                            | 57,223             | 1,193,322.70 |
| დაგროვილი ცვეთა                 |         |                                    |                    |              |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2023      | -       | (575,126)                          | (57,223)           | (632,348.33) |
| ცვეთა 2024                      | -       | (9,346.00)                         | -                  | (9,346.00)   |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2024      | -       | (584,472)                          | (57,223)           | (641,694)    |
| საბალანსო ღირებულება 31.12.2023 | 537,917 | 23,057                             | -                  | 560,974      |
| საბალანსო ღირებულება 31.12.2023 | 537,917 | 13,711                             | -                  | 551,628      |

შენიშვნა 5

არამატერიალური აქტივები

|                                  | ლიცენზიები  | სხვა     | სულ          |
|----------------------------------|-------------|----------|--------------|
| ისტორიული ღირებულება             |             |          |              |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2023  | 193,667     | 27,314   | 220,981.00   |
| შემოსვლა                         |             |          | -            |
| გასვლა                           |             |          |              |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2024  | 193,667     | 27,314   | 220,981.00   |
| დაგროვილი ამორტიზაცია            |             |          |              |
| დაგროვილი ამორტიზაცია 31.12.2023 | (148,409)   | (26,352) | (174,761.00) |
| ამორტიზაცია 2024                 | (12,629.00) | (164.67) | (12,793.67)  |
| დაგროვილი ამორტიზაცია 31.12.2024 | (161,038)   | (26,517) | (187,555)    |
| საბალანსო ღირებულება 31.12.2023  | 193,667     | 962      | 46,220       |
| საბალანსო ღირებულება 31.12.2024  | 32,629      | 797      | 33,426       |

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

|                                   |               |               |
|-----------------------------------|---------------|---------------|
| <b>შენიშვნა 6</b>                 |               |               |
| ამონაგები                         |               |               |
| <b>ლარი</b>                       | <b>2024</b>   | <b>2023</b>   |
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან | 327058        | 925122        |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან |               |               |
| <b>სულ</b>                        | <b>327058</b> | <b>925122</b> |

|                                             |                  |
|---------------------------------------------|------------------|
| <b>შენიშვნა 7</b>                           |                  |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები           | 31.12.2024       |
| საიჯარო ხარჯები                             | 42,545.6         |
| ხელფასის ხარჯები                            | 163,265.6        |
| კომუნალური ხარჯები                          | 2,687.8          |
| საოფისე მომსახურება                         | 10,598.6         |
| კომუნიკაციის ხარჯები                        | 2,850.6          |
| საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები         | 406.2            |
| ბანკის საკომისიო                            | 184.1            |
| სარეკლამო მარკეტინგული მომსახურების ხარჯები | 1,997.3          |
| სხვა საოფისე ხარჯები                        | 1,413.2          |
| დაზღვევის ხარჯი                             | 2,783.3          |
| საპენსიო დანახარჯი                          | 2,918.3          |
| ტრანსპორტის შენახვის ხარჯი                  | 2,284.7          |
| იურიდიული და აუდიტორული მომსახურების ხარჯი  | 6,625.0          |
| სამეურნეო ხარჯი                             | 1,984.5          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                        | 22,140.6         |
| საგადასახადო ხარჯი                          | 847.4            |
| <b>სულ</b>                                  | <b>265,532.7</b> |

შპს გალაქსი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024  
წლის 31 დეკემბერი

#### შენიშვნა 8

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელი მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

#### შენიშვნა 9

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

